<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---აგვისტო 2022 წელი

ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირთან მდებარე უსახელო სკვერისთვის ნიკო კვარაცხელიას სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ვაკის რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირთან მდებარე უსახელო სკვერს მიენიჭოს ნიკო კვარაცხელიას სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

1 : 1316
ნიკო ყვინჩილის ხახულების სკვერი
ვარლამ თოფურიას ქუჩა
მიხეილ შავიშვილის ქუჩა
ვაჟა-ფშაველას გამზირი
პეტრე ქავთარ

ნიკო კვარაცხელია

(1999-2021)

არაერთი წარმატებული პროექტის ავტორი იყო. საფრანგეთში სასწავლებლად წასვლამდე, ნიკოლოზ კვარაცხელია თბილისში, ევროპული სკოლის საერთაშორისო სექტორის მოსწავლე იყო. ონლაინ-პლატფორმა ფეედს-ის დამფუძნებელია. ადგილმდებარეობაზე დაფუძნებული სოციალური მედიის პლატფორმა თანამოაზრეებთან ერთად, 2019 წელს, ჯერ კიდევ სტუდენტმა შექმნა. როგორც ის სხვადასხვა ინტერვიუში ყვება, პლატფორმის მიზანი სოციალური ქსელების „უსამართლო“ მიდგომის შეცვლა იყო. მისი მიზანი იყო ყველა ადამიანს მისცემოდა ინფორმაციის გავრცელების თანაბარი შესაძლებლობა - იქნებოდა ეს მომხმარებელი, რომელსაც ბევრი მეგობარი თუ გამომწერი ჰყავს თუ ადამიანი, რომელიც სოციალურ ქსელებში ნაკლებად პოპულარულია.

ქართველი ახალგაზრდების მიერ შექმნილი აპლიკაცია, რომელიც საქართველოში დამზადდა, მსოფლიო ბაზარზე 2019 წლის 30 მარტს გამოჩნდა. მის შექმნას ნიკოლოზ კვარაცხელიამ ორი წელი მოანდომა. პროდუქტის პირველი ვერსია საფრანგეთში, იმ ბიზნეს-სკოლაში გამოსცადა, სადაც თავად სწავლობდა. ამის შემდეგ კი დააფუძნა კომპანია და შექმნა გუნდი გიორგი კვარაცხელიასა და ალექსანდრე სიჭინავასთან ერთად. „ფეედს“ თანამშრომლობს ისეთ გიგანტ კომპანიებთან, როგორიცაა ამაზონ, გოოგლე. პლატფორმა აერთიანებს 250 000-ზე მეტ აქტიურ მომხმარებელს მსოფლიოდან.

ნიკოლოზ კვარაცხელია ‘ფორბეს“-ისგამარჯვებულიც იყო.

DocuSign Envelope ID: 3052ED24-7017-4798-B3E6-9A45F0DE2503

ქ.თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს,
ბატონ გიორგი ტყემალაძეს,-
საინიციატივო ჯგუფის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

როგორც მოგეხსენებათ ა.წ 15 სექტემბერს, ქ.თბილსში, ვერაზე მოკლული იქნა ახალგაზრდა ბიჭი, ნიკო კვარაცხელია. 22 წლის ნიკოლოზ კვარაცხელია, ონლაინ-პლატფორმა Feedc-ის დამფუძნებელია. ადგილმდებარეობაზე დაფუძნებული სოციალური მედიის პლატფორმა თანამოაზრეებთან ერთად, 2019 წელს, ჯერ კიდევ სტუდენტმა შექმნა. მისი მიზანი იყო ყველა ადამიანს მისცემოდა ინფორმაციის გავრცელების თანაბარი შესაძლებლობა - იქნებოდა ეს მომხმარებელი, რომელსაც ბევრი მეგობარი თუ გამომწერი ჰყავს თუ ადამიანი, რომელიც სოციალურ ქსელებში ნაკლებად პოპულარულია.

ნიკო გამოირჩეოდა ინოვაციური იდეებით, იყო პერსპექტიული, განათლებული, შრომისმოყვარე ახალგაზრდა. ითვლებოდა, რომ ის იყო მომავლის თაობის კარგი მაგალითი. მის სახელს უკავშირდება არაერთი ციფრული პლატფორმა, როგორც საერთაშორისო ასევე ადგილობრივ ბაზარზე.

იქიდან გამომდინარე, რომ ნიკო თავისი საქმინობით ეწეოდა განათლების და ინოვაციების პოპულარიზაციას და ამ მიმართულებით ახალი იდეებით გამოირჩეოდა, მოგმართავთ თხოვნით, ოქროყანის გზატკეცილზე მდებარე ინოვაციების ქუჩას, დაემატოს მისი სახელი და გახდეს **ნიკო კვარაცხელიას ინოვაციების ქუჩა**. ამით ვუკვდავყოფთ მის სახელს და მეტ მოტივაციას გავუჩენთ ახალგაზრდებს მოღვაწეობა გააგრძელონ ამ მიმართულებით.

პატივისცემით,

ნინო ზამბახიძე ;
საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარე

DocuSigned by:
AE4E4FF371AF467...

გიორგი ისაკაძე ;
Forbes Georgia მთავარი რედაქტორი,
BMG მმართველი პარტნიორი

DocuSigned by:
გიორგი ისაკაძე
BFAE7DF0DD5C4A3...

გიორგი კეკელიძე ;

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი

DocuSigned by:
0ACD0C04E24347A...

DocuSign Envelope ID: 89A2924D-509E-4B0D-B1C2-B32FBB6A88D4

ნინო ენუქიძე;
BTU რექტორი

DocuSigned by:
97D9470BBDCE4F0...

გური ქოიავა ;
სტარტაპ ბიუროს თანადამფუძნებელი

DocuSigned by:
გური ქოიავა
95451FF1F8974B3...

სანდრო კანდელაკი;
Covider-ის თანადამფუძნებელი

DocuSigned by:
6BAD4D0755FF463...

ნათია მიქიაშვილი ;
სიბიუს ჯგუფის
კომუნიკაციების დირექტორი

DocuSigned by:
7C304FA003F34CB...

წერილის ნომერი: **03-032221331**
თარიღი: **01/08/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი 2021 წლის 29 სექტებრის საქმე #19/032127265-03 დაკავშირებით.
მოგმართავთ თხოვნით, გამოგვიგზავნოთ ვაკის რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირთან მდებარე 01.14.04.022.014 საკადასტრო ერთეულთან გამავალი სკვერის (ნიკო კვარაცხელიას სახელობის სკვერი) სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 2 (ორი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი